ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1 შესყიდვის ობიექტი:

გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს 13 ცალი სასმელი წყლის 2 დონიანი შადრევნის თანმდევი მოწყობა მონტაჟით (შესაბამისი შადრევნების შესყიდვა, ბაღის ტერიტორიაზე მონტაჟი, მილების შესყიდვა/გაყვანა, შესაბამისი მიწის სამუშაოებით უზრუნველყოფა და სათანადო სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემებთან დაერთება, შადრევნების გარშემო 2.5 კვ. შესაბამისი ფილებით მოპირკეთება, 26 ცალი ღილაკიანი, ეკონომ ონკანების დამონტაჟება).

შადრევნის დამონტაჟება უნდა მოხდეს საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში არსებულ შემდეგ ლოკაციებზე:

1. ისტორიული არბორეტუმი. ქართლის დედის შემოსასვლელ კიბესთან;
2. ხმელთაშუაზღვეთის მიმდებარე ტერიტორია დაცვის ჯიხურთან;
3. ბოტანიკური ბაღის ცენტრალურ შემოსასვლელთან;
4. კვიპაროსების ხეივნის დასაწყისი გზაჯვარედინთან;
5. ტროპიკულ ორანჟერეასთან, ეკოლოგიური განათლების განყოფილებისთვის მოწყობილ სივრცეში;
6. კედნართან (სამკურნალო მცენარეების განყოფილებისა და მცენარეთა კონსერვაციის განყოფილების ტერიტორიის მიმდებარედ);
7. ძველი ფანჩატურის ტერიტორიაზე;
8. კონსერვაციის ფანჩატურთან;
9. არბორეტუმი (ქართლის დედის შემოსასვლელ კიბესთან);
10. გუერას ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე;
11. ეთნობოტანიკის ნაკვეთის მომდებარე ტერიტორიაზე;
12. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე;
13. ადმინისტრაციულ შენობასთან;

(იხ. დანართი 1 - რუკაზე მონიშნული ლოკაციები)

1.2 ტექნიკური პირობები:

1. კონსტრუქცია ჩამოსხმული უნდა იყოს მარმარილოს ნაფხვენის წვრილი კენჭებით და თეთრი ცემენტით ან ბეჟი/თეთრი ფერის ქვის გრანულების, სამშენებლო ინგრედიენტების, პლასტიფიკატორების, არმირების გამოყენებით.
2. ჩამოსხმული კონსტრუქციის ზედაპირი უნდა იყოს მოხვეწილი და მაღალი ხარისხის წყალმდეგი, ყინვამდეგი ლაქით დაფარული.
3. სასმელი წყლის ეკონომ-ონკანი (ღილაკიანი) – 26 ცალი;
4. კონსტრუქციაში ჩატანებული უნდა ჰქონდეს შემავალი პლასტმასის მილი ზომით დ 20 უჟანგი ლითონისაგან დამზადებული ტრაპი ჩასმული ქვის კონსტრუქციაში, მიერთებული უნდა იყოს 40-50მმ. კონსტრუქციაში ჩასმულ მილთან რომელიც უნდა დაერთდეს სანიაღვრეში;
5. სასმელი წყლის შადრევანისთვის მოეწყოს 2.5 კვ.მ. 10 სმ სისქის ბეტონის არმირებული ფილა შემსყიდველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და ამავე ფილაზე უნდა მოეწყოს დეკორატიული ფილები 2.5კვ.მ. ფილის ირგვლივ უნდა მოეწყოს ჩამკეტი ბორდიური.

1.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

ა) მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი კალენდარული დღე) კალენდარული დღე.

ბ) შესყიდვის ობიექტის განთავსება განახორციელოს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას, რომელიც უნდა დამონტაჟდეს, (ჩაბეტონებით) და დაერთდეს სასმელი წყლის მილთან და სანიაღვრე სისტემასთან.

1.4 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

პრეტენდენტმა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის ფარგლებში **(შემსყიდველთან შეთანხმებით/მითითებულ ადგილას) შემოთავაზებული საქონლის, სასმელი წყლის 1 ცალი ნიმუში ეკონომ - ონკანი, ასევე ბეტონის ფილის ერთი ეგზემპლარი.**

1.5 შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია:

ა) მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

ბ) შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

გ) საგარანტიო ვადა - ყველა სამუშაოებზე 3 წელი (ონკანების გარდა)

დ) საგარანტიო ვადა - ონკანზე 12 თვე.